

ადიგენის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №62
2022 წლის 16 ნოემბერი

დაბა ადიგენი

ადიგენის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ,ზ“ ქვეპუნქტის, 61 მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“ 118-ე მუხლის მე-2 პუნქტის და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 61-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილების შესაბამისად, ადიგენის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

დამტკიცდეს ადიგენის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის დებულება დანართის შესაბამისად.

მუხლი 2

მშენებლობის საჯარო ზედამხედველობის განმახორციელებელ ორგანოდ განისაზღვროს ადიგენის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახური.

მუხლი 3

ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ადიგენის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ადიგენის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის პირველი დეკემბრის №66 დადგენილება (www.matsne.gov.ge, 04/12/2015 010250050.35.137.016217) კერძოდ:

მუხლი 4

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ადიგენის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

შმაგი ბიძიშვილი

დანართი

ადიგენის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის დებულება

მუხლი 1. ზედამხედველობის სამსახური

1. ადიგენის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახური (ტექსტში შემდგომ –სამსახური) არის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული, რომელიც უზრუნველყოფს, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მშენებლობასა და არქიტექტურულ საქმიანობაზე საჯარო ზედამხედველობას. მშენებარე შენობა-ნაგებობების შესაბამისობის ზედამხედველობას საპროექტო ნორმატიულ და სანებართვო დოკუმენტებთან. არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობის დადგენილი წესების დარღვევის ფაქტების გამოვლენას, ობიექტის მშენებლობის შეჩერებას ან/და დემონტაჟს, მის მიმართ საჯარიმო სანქციების გამოყენებაზე გადაწყვეტილების მიღებას. ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებამოსილების ფარგლებში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა პრევენციასა და აღკვეთას. შესაბამისი სამართალდარღვევათა ოქმების შედგენას, მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების და მათი სამსახურების მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფას.

2. სამსახური თავის საქმიანობას წარმართავს მოქმედი კანონმდებლობის, მერიის დებულების, ამ დებულებისა და მუნიციპალიტეტის სხვა სამართლებრივი აქტების შესაბამისად.

3. სამსახურის სამტაჯო განრიგი და პროფესიულ საჯარო მოხელეთა (შემდგომ – მოხელი)



თანამდებობრივი სარგოები განისაზღვრება მერიის საშტატო ნუსხით.

ადიგენის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 6 ივნისის დადგენილება №35 - ვებგვერდი, 07.06.2024 წ.

მუხლი 2. სამსახურის სტრუქტურა

1. სამსახური შედგება: მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელისაგან – სამსახურის უფროსისაგან (შემდგომ – სამსახურის უფროსი) და სამსახურის მოხელეებისაგან.
2. სამსახურის საქმიანობას წარმართავს სამსახურის უფროსი, რომლის უფლებამოსილება და სამსახურებრივი ფუნქციები განისაზღვრება, „ადიგენის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ადიგენის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 17 ივლისის №23 დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-8 მუხლით და სამსახურის უფროსის სამუშაოთა აღწერილობით. სამსახურის უფროსის არყოფნის შემთხვევაში, მერის ბრძანებით, სამსახურის უფროსის უფლება-მოვალეობას ახორციელებს სამსახურის ერთ-ერთი მოხელე.
3. სამსახურის მოხელეების უფლება-მოვალეობები განისაზღვრება „ადიგენის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ადიგენის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 17 ივლისის №23 დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-16 მუხლით, სამსახურის მოხელეების ფუნქციები განისაზღვრება შესაბამისი სამუშაო აღწერილობით. სამსახურის მოხელის არყოფნის ან სხვა საჭიროების შემთხვევაში, სამსახურის მოხელის უფლება-მოვალეობას ახორციელებს სამსახურის უფროსი.
4. სამსახურის მოხელეთა თანამდებობაზე დანიშვნა-გათავისუფლებისა და კარიერული განვითარების წესები განისაზღვრება მერიის დებულებითა და „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

ადიგენის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 6 დეკემბრის დადგენილება №70 - ვებგვერდი, 06.12.2022წ.

3. სამსახურის ფუნქციები

1. ზედამხედველობის სამსახური დადგენილი წესით უზრუნველყოფს:

- ა) მშენებარე შენობა-ნაგებობების შესაბამისობის ზედამხედველობას საპროექტო ნორმატიულ და სანებართვო დოკუმენტებთან;
- ბ) არქიტექტურულ-სამშენებლო სამართალდარღვევების საქმეების წარმოებას და არქიტექტურულ-სამშენებლო სამართალდარღვევათა პრევენციისა და აღკვეთის ღონისძიებათა ორგანიზებას;
- გ) არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობის დადგენილი წესების დარღვევის ფაქტების გამოვლენას, ობიექტების მშენებლობის შეჩერების ან/და დემონტაჟის, მის მიმართ საჯარიმო სანქციების გამოყენებაზე გადაწყვეტილების მისაღებად წინადადებების მომზადებას;
- დ) ზედამხედველობას სამშენებლო სამუშაოების წარმოების წესების დაცვაზე (სამშენებლო ტერიტორიების შემოღობვასთან, გრუნტისა და სამშენებლო ნარჩენების სპეციალურად გამოყოფილ ადგილებში გატანასთან, მიწისქვეშა კომუნიკაციების ჩაწყობა გადაკეთებისა და მიწის გათხრასთან დაკავშირებულ სხვა სამუშაოების ჩატარებასთან, სამუშაოების დამთავრების შემდეგ ობიექტის კეთილმოწყობა-მოწესრიგებასთან და სხვა, დაკავშირებით);
- ე) კანონმდებლობით დადგენილი წესით, კონტროლის განხორციელებას საზედამხედველო ობიექტში არქიტექტურულ-სამშენებლო ნორმებისა და წესების დაცვასა და შესრულებაზე, შემოწმების პროცესში დოკუმენტაციის მოთხოვნას სამოქმედო ტერიტორიაზე განლაგებული ნებისმიერი ფიზიკური ან/და იურიდიული პირისათვის, კომპეტენციის ფარგლებში;
- ვ) არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობის ზედამხედველობის განხორციელების მიზნით, სამშენებლო საქმიანობაში დარღვევის არსებობის შემთხვევაში, მშენებლობაში მონაწილეთა მიმართ მითითების გაცემას მშენებლობის პროექტის, სამშენებლო ნორმების, წესებისა და სხვა ნორმატიული



დოკუმენტაციის მოთხოვნების დარღვევათა გამოსწორების შესახებ;

ზ) გარე რეკლამის განთავსების, საზოგადოებრივი ადგილებით სარგებლობის შეზღუდვის წესების, გარე ვაჭრობის, ავტოტრანსპორტის პარკირების წესების დარღვევის ფაქტების გამოვლენას, საგზაო მოძრაობის რეგულირებასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილების შესრულების და მათი არსებულ კანონმდებლობასთან (ნორმატივებთან) შესაბამისობაში მოყვანაზე კონტროლს;

თ) უკანონო, უსახური და ამორტიზებული ჯიხურების, მანქანა-დანადგარების, დახლების, სარეკლამო, სავაჭრო და საინფორმაციო სტენდების, დაფების ფირნიშების, აბრების, აფიშების, პლაკატებისა და სხვა სარეკლამო ატრიბუტების უკანონო განთავსების ფაქტების გამოვლენას, მათი აღკვეთისა და სადემონტაჟო ღონისძიებების განხორციელებაზე კონტროლს;

ი) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განლაგებული საწარმო დაწესებულების ორგანიზაციების იურიდიული და ფიზიკური პირების მიერ კეთილმოწყობის წესებისა და გარე იერსახის დაცვაზე კონტროლს;

კ) ზედამხედველობას უწევს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განლაგებული წარმოება დაწესებულების, ორგანიზაციების, იურიდიული და ფიზიკური პირების მიერ განხორციელებულ შემდეგ საქმიანობაზე: დანგერული, დაუმთავრებელი ან დამთავრებული სამუშაო ტერიტორიის აღუდგენლად მიტოვება, მწვანე ნარგავების დაზიანება ან თვითნებური გაჩეხვა, სამშენებლო ან შესაკეთებელი სამუშაოების ჩატარების დროს ტერიტორიის დაზიანება;

ლ) კომპეტენციის ფარგლებში არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის, მიწათსარგებლობის წესების დარღვევის შემთხვევაში, კანონმდებლობით გათვალისწინებული ზომების გატარებას;

მ) სანიტარულ-ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებების განხორციელებაზე კონტროლს, კომპეტენციის ფარგლებში;

ნ) (ამოღებულია - 18.10.2023, №66);

ო) წინადადებების შემუშავებას ტერიტორიის დასუფთავებისა და ნარჩენების გატანის საკითხებზე, შესაბამის სამუშაოთა დაგეგმვასა და ორგანიზებას;

პ) კომპეტენციის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განლაგებულ საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში მყარი ნარჩენების მართვაზე ზედამხედველობას;

ჟ) ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით, პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსით, ნარჩენების მართვის კოდექსით და საარჩევნო კოდექსით ადგილობრივი თვითმართველობის დადგენილი უფლებამოსილების ფარგლებში, სამართალდარღვევის ოქმის შედგენას;

რ) უფლებამოსილების ფარგლებში, დამრღვევი ფიზიკური ან/და იურიდიული პირების მიმართ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ზომების მიღებას;

ს) რეკლამის განთავსების, შავი და ფერადი ლითონების ჯართის შეგროვების, ტერიტორიის კეთილმოწყობისა და დასუფთავების წესების დარღვევის, მიწათსარგებლობის წესების დარღვევის და ადგილობრივი თვითმართველობის უფლებამოსილების ფარგლებში სხვა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა პრევენციისა და აღკვეთას, შესაბამისი სამართალდარღვევათა ოქმების შედგენას;

ტ) მოქმედი კანონმდებლობით და სხვა სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული ფუნქციების განხორციელებას;

უ) შენობა-ნაგებობების ექსპლუატაციაში მიღებასთან დაკავშირებულ საქმისწარმოებას, სამართლებრივი აქტების მომზადებას და გადაწყვეტილებების მიღებას შენობა-ნაგებობების ექსპლუატაციაში მიღებისთვის ვარგისად აღიარებაზე ან უარის თქმის შესახებ.



ფ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბინადარი ცხოველების (ძაღლისა და კატის) ყოლის მართვისა და კონტროლის ორგანიზების უზრუნველყოფას.

ქ) მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მერიის თანამდებობის პირების, სტრუქტურული ერთეულებისა და ადმინისტრაციული ერთეულების წარმომადგენლების მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფას.

ადიგენის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 7 თებერვლის დადგენილება №4 - ვებგვერდი, 08.02.2023წ.
ადიგენის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 11 მაისის დადგენილება №27 - ვებგვერდი, 15.05.2023წ.
ადიგენის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 18 ოქტომბრის დადგენილება №66 - ვებგვერდი, 19.10.2023წ.
ადიგენის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 6 ივნისის დადგენილება №35 - ვებგვერდი, 07.06.2024 წ.

მუხლი 4. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ოქმების შედგენისა და ადმინისტრაციული სახდელის (ჯარიმის) შეფარდების უფლებამოსილება

1. ადიგენის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მესამე რანგის პირველი და მეორე კატეგორიის უფროს სპეციალისტებს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ზედამხედველობის საკითხებში მიენიჭოს:

ა) საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 51³, 55-ე, 96⁴, 150-ე მუხლებით, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ მე-80 მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის შედგენის უფლებამოსილება;

ბ) საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 55², 55⁶, 150¹, 153⁴, 159-ე და 159¹ მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე, ადმინისტრაციული სახდელის (ჯარიმის) შეფარდების უფლებამოსილება.

2. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის: 40¹, 134¹, 166² და 152² მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე ადმინისტრაციული სახდელის (ჯარიმის) შეფარდების უფლებამოსილება მიენიჭოს ადიგენის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მესამე რანგის პირველი და მეორე კატეგორიის უფროს სპეციალისტებს არქიტექტურისა და კეთილმოწყობის საკითხებში.

3. ადიგენის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მესამე რანგის პირველი და მეორე კატეგორიის უფროს სპეციალისტებს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხებში მიენიჭოს:

ა) საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსი“ 31-ე, 32-ე, 33-ე, 34-ე, 35-ე, 36-ე მუხლების პირველი და მე-2 ნაწილებით, 39-ე, და 43-ე მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის შედგენის უფლებამოსილება;

ბ) საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის: 77¹, 77², 82⁵, 103-ე, 119¹, 146¹, 148-ე მუხლის მე-4 ნაწილით, 151-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 151², 152-ე, 152⁵, 152⁶, 158⁵ მუხლების პირველი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევაზე, ადმინისტრაციული სახდელის (ჯარიმის) შეფარდების უფლებამოსილება.

ადიგენის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 4 აპრილის დადგენილება №17 - ვებგვერდი, 05.04.2023 წ.

ადიგენის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 11 მაისის დადგენილება №27 - ვებგვერდი, 15.05.2023წ.
ადიგენის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 3 ნოემბრის დადგენილება №71 - ვებგვერდი, 06.11.2023წ.
ადიგენის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 22 დეკემბრის დადგენილება №78 - ვებგვერდი, 25.12.2023წ.
ადიგენის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 27 დეკემბრის დადგენილება №84 - ვებგვერდი, 28.12.2023წ.

მუხლი 5. სამშენებლო სამართალდარღვევის ადმინისტრაციული წარმოების უფლებამოსილება

1. საქართველოს კანონის „სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“ 123-ე და 129-ე მუხლებითა და საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოების და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი“ 25-ე და 26-ე მუხლებით ადმინისტრაციული საქმისწარმოება მათ



შორის, მითითების გაცემა და შემოწმების აქტის შედგენის უფლებამოსილება მიენიჭოს ადიგენის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მესამე რანგის პირველი და მეორე კატეგორიის უფროს სპეციალისტებს არქიტექტურისა და კეთილმოწყობის საკითხებში.

2. საქართველოს კანონის „სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“ XV თავითა და „პროდუქტის უსაფრთხოების და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი“ 43-ე, 44-ე, 45-ე, 48-ე, 50-ე, 51-ე, 52-ე და 52¹ მუხლებით გათვალისწინებული სანქციებიდან გამომდინარე დადგენილების მიღების უფლებამოსილება მიენიჭოს ადიგენის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს, სამსახურის უფროსს.

ადიგენის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 22 დეკემბრის დადგენილება №78 - ვებგვერდი, 25.12.2023წ.

მუხლი 6. დასკვნითი დებულებები

1. სამსახურის დებულებაში ცვლილებები და დამატებები შეიძლება შეტანილი იქნეს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
2. სამსახურის რეორგანიზაცია, მისი საქმიანობის შეწყვეტა ხდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

